ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29251432**
თარიღი:**23/05/2025**

ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის

(ს/კ33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების

მიზანშეწონილობის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით (წერილი №28-282514218, 22/05/2023) მომართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა - მანუჩარ რობაქიძემ. თანახმად წერილისა, მერია გეგმავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადასტურებს, რომ ვაჟა კუბლაშვილი არის საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურიატი, ღირსების ორდენის კავალერი, რომელსაც აქვს დიდი დამსახურება თერჯოლის მუნიციპალიტეტის წინაშე. მისი ხსოვნისა და სახელის უკვდავყოფის მიზნით, საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის, 61 -ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტის, მე-2 ნაწილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის - მანუჩარ რობაქიძის ინიციატივისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2025 წლის 23 მაისის №3 დასკვნის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსება.

მუხლი 2. განკარგულება ჩაბარდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM